საქართველოს მთავრობის

დადგენილება №230

2014 წლის 18 მარტი

ქ. თბილისი

„ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის №126 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის №126 დადგენილებაში (სსმ, 28.04.2010, მუხლი 727) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირების წესის“:

1. მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სააგენტო უფლებამოსილია, ოჯახში განხორციელებული დემოგრაფიული ცვლილების შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს ოჯახის წევრის დაბადებას (შვილად აყვანას), ავტომატურად შეიტანოს შესაბამისი ინფორმაცია მონაცემთა ბაზაში, ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმეორებითი შეფასების და სარეიტინგო ქულის გადათვლის გარეშე.“.

2. მე-10 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^3 პუნქტი:

„1^3. ოჯახის შემოსავლებში, როგორც ერთჯერადი ხასიათის შემოსავალი, არ გაითვალისწინება „მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის №193 განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული გეგმის ფარგლებში სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის გაცემული კომპენსაცია.“.

მუხლი 2

დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტი ამოქმედდეს 2014 წლის 1 აპრილიდან, ხოლო პირველი მუხლის მე-2 პუნქტი გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2014 წლის 28 თებერვლიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**